ახალგაზრდა ადვოკატები

გვაერთიანებს მიზანი, წარმატება, ნდობა

#16 ჩვენ ერთი გუნდი ვარ

"ლელო სარასენსი" – ჭაბუკთა "ბ" ლიგის 2016 წლის ჩემპიონი

„ახალგაზრდა ადვოკატების“ 2016 წლის საქმიანობის ანგარიში

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

კაიკაციშვილი & ადვოკატები

ადვოკატთა საგანმანათლებლო ცენტრი

გუნდი

არჩილ კაიკაციშვილი - ხელმძღვანელი
მარიკა არევაძე - სადამფუძნებლო საბჭოს წევრი
გიორგი ზოიძე - საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
რუსლან ალექსიძე - მთავარი იურისტი
არჩილ ნადირაძე - პროექტების მენეჯერი
მარიამ სვიმონიშვილი - სამართლის ექსპერტი
მარიამ ფირცხალაიშვილი - პოლიტიკის მკვლევარი
ია გოგნაძე - სამართლის სპეციალისტი
გიორგი ჯოჯუა - სამართლის სპეციალისტი
გულო არევაძე - ფინანსური მენეჯერი
ანა კიკნაძე - მრჩეველთა საბჭო
ბექა ჯავახიშვილი - მრჩეველთა საბჭო

საქართველო, თბილისი, მარჯანიშვილის მოედანი, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა №12
ორგანიზაციის ტელეფონი: (995 32) 295 35 18, 599 291202

Pryoungbarristers@yahoo.com; Pryoungbarristers@gmail.com
www.barristers.ge

არჩილ კაიკაციშვილი
ხელმძღვანელი

ჩვენი საქმიანობა და ანგარიშვალდებულება ემყარება ღირსებას, თავისუფლებას და თანასწორობას

ჩვენი საქმიანობისთვის 2017 წელი იქნება მართლმსაჯულების სისტემაში მიმდინარე რეფორმის, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის შეფასებისა და კვლევის წელი, ვინაიდან მიუკერძოებელი სასამართლო სისტემა და სასამართლოს კანონიერ გადაწყვეტილებებზე საჯარო დისკუსია ქვეყანაში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველყოფისთვის, ერთ-ერთ შესაძლებლობად რჩება.

დღეს ადამიანის უფლებების დამცველი მთავარი ინსტიტუცია სასამართლო ხელისუფლება უნდა იყოს, რომელსაც სჭირდება პოლიტიკური გავლენებისგან დამოუკიდებელი და თავისუფალი მოსამართლეები. ხელისუფლებამ უნდა შექმნას სასამართლოს დამოუკიდებლობის რეალური გარანტიები, მიუკერძოებელმა მოსამართლეებმა კი არ დაუშვან შერჩევითი მართლმსაჯულების განხორციელება და უკანონო გადაწყვეტილებებით, ადამიანის უფლებების შეგნებული დარღვევა.

სამწუხაროდ, ჩვენი სასამართლო საქმიანობის გამოცდილება, მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეებზე მიგვითითებს გარემოებებზე, როდესაც ცალკეული მოსამართლეები, საქართველოს სახელით, აგრძელებენ სისტემური დანაშაულებების დაკანონებას, რაც რეაგირების გარეშე რჩება. სასამართლო სისტემაში საუბარია სავარაუდო კორუფციულ სამართალდარღვევებზე, რაზედაც საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო სდუმს. მნიშვნელოვანია, ამ საკითხებზე სასამართლოს ხელმძღვანელ პირებთან ერთად, ყურადღება დაუთმოს საქართველოს მთავრობამ და საქართველოს პარლამენტმა. სახელმწიფომ შექმნას დაუცველი მოქალაქის დაცვის რეალური გარანტიები, როდესაც უფლების აღმდგენი ინსტიტუცია სასამართლოა.

მნიშვნელოვანია, საქართველოს პარლამენტმა მომდევნო საქმიანობის პროცესში ადამიანის უფლებათა დაცვის მეტი გარანტიებისთვის შექმნას დამატებითი დაცვის მექანიზმები. პარლამენტი სათანადოდ უნდა აფასებდეს იმ მდგომარეობას, რომ საზოგადოებამ წინა ხელისუფლებიდან მემკვიდრეობის სახით მიიღო სისტემური დანაშაულებები, რომელთა მტკიცებას, საერთო სასამართლოებში, სჭირდება შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არსებობა. დღეს არაერთი საქმეა, როდესაც კანონში არსებული დათქმების გამო, მოქალაქეები სამოქალაქო უფლებებში აღდგენას ვერ ახერხებენ. ამასთან, ორგანიზაცია ყურადღებას გაამახვილებს საქართველოს მთავრობის ეფექტური მოქმედებების აუცილებლობაზე.

საზოგადოებას ნდობა უნდა დაუბრუნდეს იმ სამოქალაქო ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც ადამიანის უფლებების დაცვის სახელით, საზოგადოების ანტიგანწყობას იმსახურებს. ქვეყანაში მნიშვნელოვანი პრობლემაა დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციების არსებობა, რომლებიც ადამიანის უფლებების დაცვას შერჩევითი პრინციპის გარეშე ახორციელებენ. ფინანსურად ძლიერი არასამთავრობო ორგანიზაციები მხოლოდ მიმართულია კონკრეტული მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვაზე, რაც, თავისთავად, მიუღებელი არ არის, მაგრამ ქვეყანაში ტენდენციის სახეს იღებს ერთი ან რამდენიმე უფლების დაცვის პროპაგანდა, როდესაც ადამიანის უფლებების დაცვას უნდა ჰქონდეს საყოველთაობის მიზანი.

ჩვენი საქმიანობა ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში, ემყარება სამ ძირითად ფასეულობას - ღირსებას, თავისუფლებას და თანასწორუფლებიანობას. ჩვენმა ორგანიზაციამ 2012 წლიდან დღემდე არაერთი წარმატებული საქმით წარმოაჩინა ადამიანის უფლებების დაცვისთვის თავდადება, რაც განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ნიშნავს საზოგადოებისა და ჩვენი პროფესიის წინაშე. არსებობს დაბრკოლებები და სირთულეები, მაგრამ ეს ჩვენთვის არ ცვლის ჩვენს ფასეულობებს და მოტივაციას, წარმატებით გავაგრძელოთ ადამიანის უფლებების დაცვა და უფლებების დაცვის სფეროში ყველას შევახსენოთ, რომ მთავარი ღირებულებაა - ადამიანი!

პასუხისმგებლობა საზოგადოების და პროფესიის წინაშე

„ახალგაზრდა ადვოკატების“ საქმიანობის წარმატებას, მიღწევებსა და შედეგებს თანაბრად იზიარებს ორგანიზაციის ყველა წევრი. ორგანიზაციის გუნდი მთავარი მოტივატორია. ისინი მოდიან, ქმნიან ორგანიზაციის ისტორიას და პროფესიაში იჭერენ ღირსეულ და საპატიო ადგილს. ორგანიზაციის ისტორია ეკუთვნის ყველა წევრს, რომელიც დაფუძნებიდან დღემდე საკუთარ ნაბიჯს ტოვებდა მისი განვითარებისთვის. ორგანიზაციაში თაობათა ცვლილებების მიუხედავად, უცვლელი რჩება საფუძვლები, პრინციპები და ღირებულებები, რომლითაც იქმნება გუნდი და რომლითაც იქმნება ორგანიზაციის ისტორია - პასუხისმგებლობა საზოგადოებისა და პროფესიის წინაშე. „ახალგაზრდა ადვოკატების“ სირთულეც და განსაკუთრებულობაც იმაშია, რომ გახდე გუნდის წევრი, ნიშნავს გქონდეს მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობა, პატივს სცემენ ინდივიდუალიზმსა და აზროვნებას, ფასდებოდეს არამხოლოდ კანონის ცოდნა ან სამართლის ფილოსოფია, არამედ ხედვა, აზრი, მიზანი. ასეთი გუნდი წარმატებულია. ასეთი გუნდი ქმნის საზოგადოებრივ აზრსს და ამკვიდრებს თანამშრომლობისა და ინსტიტუციური დიალოგის კულტურას. ორგანიზაციის ახალი გუნდიც აგრძელებს ორგანიზაციის ყველა მნიშვნელოვან ტრადიციას და აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივი, სამართლებრივი, პოლიტიკური საკითხების განხილვაში, წარადგენს შეფასებებსა და განცხადებებს, შეიმუშავებს ინიციატივებს, მიმართვებს, წინადადებებს, რეკომენდაციებს და ახორციელებს მათ ლობირებას. ზრდის მოქალაქეების ჩართულობას ღია მმართველობის განხორციელების პროცესში, ამზადებს დამოუკიდებელ კვლევებს, დასკვნებს, პროექტებს, ანგარიშებს. გამოსცემს სამეცნიერო, საგანმანათლებლო და საინფორმაციო დაიჯესტებს, ახორციელებს აღმასრულებელი, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლების, აგრეთვე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის შესწავლას და მონიტორინგს, ხელს უწყობს სამოქალაქო კამპანიების ჩატარებას, სამართლისა და ადამიანის უფლებების მიმართ მოსახლეობის ინფორმირებას და ჩართულობას, დაცვის ინსტიტუტის პოპულარიზაციას, ორგანიზებას უწევს კონფერენციების, სემინარების, ტრენინგებისა და მრგვალი მაგიდების ჩატარებას, თანამშრომლობს სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან, ექსპერტებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო პროფესიულ ჯგუფებთან და გაერთიანებებთან.

ორგანიზაციას ქმნიან ახალგაზრდები, ნიჭიერი, განათლებული და პატრიოტი ადამიანები, რომლებსაც სიკეთე უნდათ საქართველოსთვის, მომავლისთვის, ადამიანებისთვის. ჩვენი პროფესიაც და საქმიანობაც სავსეა სირთულეებითა და წინააღმდეგობებით, თუმცა ჩვენი მთავარი ღირსება სამართლიანობის განცდაშია, მთავარი ვალდებულება საკუთარ პროფესიასთან პირისპირ და პასუხისმგებლობა ადამიანებთან ურთიერთობის პროცესში. საქმიანობის ოთხი წელიწადი, ნდობა და აღიარება, კრიტიკაც და რიდიც, ყველაფერი ერთად ჩვენ შესახებ მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენ ვქმნით ორგანიზაციას, რომელიც ეფუნება ღირებულებებსა და არა ინტერესებს, ეფუძნება პროფესიას და პროფესიონალებს. გუნდი გუნდია - ერთი ყველასთვის, ყველა ერთისთვის!

არჩილ კაიკაციშვილი
ხელმძღვანელი

მარიკა არევაძე
სადამფუძნებლო
საბჭოს წევრი

არჩილ ნადირაძე
პროექტების მენეჯერი

გიორგი ჯოჯუა
სამართლის
სპეციალისტი

ია გოგნაძე
სამართლის
სპეციალისტი

**მარიამ
სვიმონიშვილი**
სამართლის
ექსპერტი

**მარიამ
ფირცხალაიშვილი**
პოლიტიკის მკვლევარი

რუსლან ალექსიძე
მთავარი იურისტი

ნდობა, იდეა და გუნდი

გიორგი ზოიძე
„ახალგაზრდა ადვოკატების“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი

2016 წელს „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის პოზიციაზე საპასუხისმგებლო ნდობა გამომიცხადა. ჩვენ, ორგანიზაციის ახალი და ახალგაზრდული გუნდი, ყოველდღიურად ვმუშაობთ საკითხებზე, რომელიც ეხება სამართლის, პოლიტიკის, საზოგადოების პრობლემებს. 2016 წელიც აღმოჩნდა ნაყოფიერი და შემოქმედებითად დატვირთული. ამაზე მოწმობს ჩვენი ღონისძიებები და საქმიანობის სტატისტიკა. ჩავატარეთ 22 პრესკონფერენცია, გავრცელდა ორგანიზაციის 210 საჯარო პოზიცია-განცხადება, აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებასთან ურთიერთობის პროცესში, ორგანიზაცია წარმოდგენილ იქნა 30-ზე მეტ შეხვედრასა და სადისკუსიო მაგიდასთან, მოამზადა და წარმოადგინა 5-ზე მეტი სარეკომენდაციო ხასიათის წინადადება საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ, ორგანიზაციამ განახორციელა 2 პროექტი, სამართლიანობის აღდგენის საკითხებზე გამართა 2 კონფერენცი, 1 მედია-ფორუმი და 1 წარმომადგენლობითი საპროტესტო აქცია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთან, სისტემური დანაშაულების საქმეზე, გამოსცა 1 კვლევა, საქართველოს პარლამენტში დაიცვა წარდგენილი 2 საკანონმდებლო წინადადება, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარადგინა 3 მოსამართლის მიმართ დისციპლინური სახდელის დაკისრების საჩივარი, საპარლამენტო არჩევნების მიმართ საზოგადოების განწყობის დადგენის მიზნით, მოამზადა 1 სოციოლოგიური გამოკითხვა, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, გამართა 20-ზე მეტი სამუშაო შეხვედრა, მიგრაციის საკითხებზე, მოამზადა 5 რეგიონული შეხვედრა, გამოსცა 2 სამეცნიერო ჟურნალი. ამასთან, ორგანიზაცია მონაწილეობდა საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის შერჩევის პროცესში და საბჭოს წევრად წარდგენილ იქნა საერთაშორისო გამოცდილების მქონე კანდიდატი თემო ჭეიშვილი, მხარი დაუჭირა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ წარდგენილ ირაკლი ყანდაშვილის კანდიდატურას, განახორციელა ფართომასშტაბიანი საარჩევნო დაკვირვება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არჩევითი ორგანოების არჩევნებში, მოამზადა საჯარო უწყებების გამჭვირვალობაზე 7-ზე მეტი შეფასება, გახდა 10-ზე მეტი ინიციატივის მხარდამჭერი და პარტნიორი.

ორგანიზაციის გუნდი 2016 წლის მანძილზე, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ადამიანის უფლებების დაცვისა და ადვოკატირების საქმეში. 2016 წელს, ორგანიზაციის უფასო იურიდიული კონსულტაცია მიიღო 119 მოქალაქემ. ამ მიმართულებით, აქტიურად იქნა გამოყენებული თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებები საქართველოს რეგიონებში თუ საზღვარგარეთ ჩვენს თანამოქალაქეებთან. საერთო სასამართლოებში უძრავი ქონების, სახელშეკრულებო ურთიერთობების, საოჯახო-სამემკვიდრეო, შრომით-სამართლებრივ და ვალდებულებითი სამართლის დავებზე წარმომადგენლობითი უფლებამოსილება განახორციელა „კაიკაციშვილი და ადვოკატების“ იურისტებმა, რომლებმაც წარმატებით დაასრულეს არაერთი საქმე. ორგანიზაციამ განსაკუთრებული ძალისხმევა მიმართა როლანდ ბლადაძისა და რამაზ ახვლედიანის საზოგადოებრივად მაღალი ინტერესის მქონე დავების ყოვლისმომცველ ადვოკატირებაზე. პრეცედენტი დადგა საბანკო სფეროდან გათავისუფლებული ანა მაჩიტაძის საქმეზე. ორგანიზაციამ წამოიწყო ინსტიტუციური და პრინციპული დავა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და სწავლების ცენტრის მიმართ, რომელსაც მედიამ უკვე უწოდა ე.წ. „ჩაწყობილი გრანტების“ საქმე. ჩვენი სტრატეგიული სამართალწარმოება ეფუძნება ხელმისწავდომი მართლმსაჯულების, პროფესიული კეთილსინდისიერებისა და პირადოვნული დამოუკიდებლობის პრინციპებს.

2016 წელს, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის მაღალი მაჩვენებლის სტატისტიკისთვის საკმარისია აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ორგანიზაციამ უზრუნველყო 422 კორესპოდენცია, სხვადასხვა უწყებების მხრიდან მიიღო 150-ზე მეტი გამოხმაურება. აქტიური კომუნიკაცია მომზადდა მსოფლიოს 18 საერთაშორისო ორგანიზაციასთან და სამთავრობო უწყებასთან. მაღალი იყო „ახალგაზრდა ადვოკატების“ მიმართ ინტერესი ბეჭდვურ, ელექტრონულ და სატელევიზიო მედიაში. ორგანიზაციის ხელმძღვანელები და იურისტები, 80-ჯერ იქნენ წარმოდგენილი სხვადასხვა არხზე მომზადებულ სიუჟეტებსა თუ ღია ეთერებში, პრესამ 54-ჯერ დაბეჭდა ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუ თუ გააშუქა ორგანიზაციის საქმიანობა, ელექტრონულ მედიაში - 100-ზე მეტი ინფორმაცია განთავსდა ორგანიზაციის საქმიანობაზე.

მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ჩვენი საქმიანობით დაინტერესებულია და ვინც „ახალგაზრდა ადვოკატებს“ ენდობა. ჩვენ არ ვართ მდიდარი არასამთავრობო ორგანიზაცია, მაგრამ ჩვენ ვართ მდიდარი ღირებულებებით და საქმიანობის სტილით. ორგანიზაციაში საქმიანობამ კიდევ მეტად დამარწმუნა, რომ მთავარია იდეა და გუნდი. „ახალგაზრდა ადვოკატები“ ამ ორი ფასეულობის გარეშეც წარმოუდგენელია.

2016 წლის 19 დეკემბერი, კონფერენცია, თემაზე: „წარსულის პირისპირ: ადამიანის უფლებათა სისტემური დარღვევები და სახელმწიფო რეაგირების პოლიტიკა“. ორგანიზაციის ხელმძღვანელმა სიტყვით გამოსვლისას ყურადღება დაუთმო სამართლიანობის აღდგენის პროცესში საქართველოს პარლამენტის პასუხისმგებლობას და აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუციონალიზაციას, გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია. ორგანიზაციის პოზიციით, პარლამენტმა უნდა უზრუნველყოს ცვლილებები ცალკეულ კანონებში, რომელთა განხორციელებაც დახმარებას გაუწევს მოქალაქეებს საერთო სასამართლოებში დავების წარმატებით დასრულებისთვის. ორგანიზაციამ სამართლიანობის აღდგენის პროცესში მთავრობის სამინისტროების საქმიანობის ხარვეზებზეც გააკეთა აღნიშნვა და მიუთითა, რომ პარლამენტმა უნდა განახორციელოს კონტროლი და აღმოფხვრას საკითხები, რა უშლის ხელს სამართლიანობის აღდგენის პროცესს ცალკეულ სამინისტროებში, როდესაც მათი წარმომადგენლები სასამართლოებში მხარეა და არსებობს პოლიტიკური ნება მოქალაქეებს დაუბრუნდეთ წართმეული ქონება. ორგანიზაციამ ასეთ პრობლემურ სამინისტროდ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო დაასახელა.

2016 წლის 23 იანვარი, პროექტ: „ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ცნობიერების ამაღლება ასოცირების ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე და მისი საზედამხედველო როლის გაძლიერება ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2015 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში“ შუალედური საქმიანობის შედეგების პრეზენტაციაზე. ორგანიზაციამ წარმოადგინა ხედვა გამოხატვის თავისუფლების, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების სფეროში, სამთავრობო გეგმის შესრულებასა საკუთრების უფლების დაცვაზე.

2016 წლის 14 აპრილი, „ახალგაზრდა ადვოკატების“ მონაწილეობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის ორგანიზებით მოწყობილ შეხვედრაზე. უწყების მიერ მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის განხილვა. ორგანიზაციის შეფასებით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის საქმიანობა უნდა შეფასდეს მაღალი სტანდარტით, რაც გამომდინარეობს ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევებზე, ზუსტი და კვალიფიციური რეაგირებით, კვალიფიციური გუნდით და საზოგადოებრივი ნდობით.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ პროექტმა მხარდაჭერა მიიღო და პარლამენტს მიეწოდა

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან არსებულ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს უხელმძღვანელა, რომელმაც პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერების გავრცელებასთან დაკავშირებით, სპეციალურ განცხადება მიიღო. საბჭოს წევრმა ორგანიზაციებმა „ახალგაზრდა ადვოკატების“ ერთობლივი განცხადების პროექტი გაიზიარეს და შეუერთდნენ.

„ჩვენ, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან არსებული სამეცნიერო-საკონულტაციო საბჭოს შემადგენლობაში მყოფი სამოქალაქო ორგანიზაციები, მოწვეული სპეციალისტები და ექსპერტები, ვგმობთ პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეო-მასალის გასაჯაროვების ფაქტებს და მოვუწოდებთ საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს, დროის მოკლე ვადაში მოხერხდეს ამ შემზარავი დანაშაულებრივი ქმედების სრულფასოვანი გამოძიება, ყველა დამნაშავის გამოვლენა და კანონის წინაშე მთელი სიმკაცრით დასჯა.

უკანასკნელ პერიოდში ჩვენ ვხედავთ მორალური ხასიათის შეტევას საზოგადოების წინაშე, რომლის მიზანია, ქვეყანაში საყოველთაო მღელვარების გამოწვევა და სახელმწიფოს რეპუტაციის შელახვა. დამნაშავეთა მიზანია, მასობრივი დაუცველობის განცდის გაღვივება და პოლიტიკური ელიტის, საზოგადოებრივი აზრისა და სახელმწიფოს ფუნქციის მნიშვნელოვანი დაკნინება, რაც თითოეული მოქალაქის ღირსების, თავმოყვარეობისა და თავისუფლების სიკეთეზე გადის. სამწუხაროდ, პირდი ცხოვრების შესახებ ამსახველი ფარული მასალის ინტერნეტსივრცეში ყველა გასულ შემთხვევას, სათანადო რეაგირება და შესაბამისი იურიდიული შედეგი არ მოჰყოლია. აღნიშნულმა ხელი შეუწყო სახელმწიფოს მიმართ მოქალაქეების გაუცხოვების გაღრმავებას, რაც ეფექტური საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, უნდა შეიცვალოს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ გავრცელებული კადრები, ცალსახად მიმართულია ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესის წინააღმდეგ, წინასაარჩევნო პერიოდში მოსახლეობის მღელვარებისკენ და სახელმწიფო ინსტიტუციების უნდობლობის გაღრმავების წარმოშობისთვის.

პირადი ცხოვრების ამსახველი მასალების გავრცელება წინა ხელისუფლების დროს დამკვიდრებული სისტემური დანაშაულის შემადგენელი ნაწილია, რასაც დღეს მთელი სიმკაცრით უნდა შეებრძოლოს სახელმწიფო. ამ ბრძოლაში, ჩვენ ვართ სახელმწიფოს მოკავშირე და საზოგადოების დამცველი, რომელიც სამართლიანად მოითხოვს ყველა დამნაშავის დასჯას“ - ნათქვამია განცხადებაში.

კომიტეტთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო ამჟამად შედგება 26 არასამთავრობო ორგანიზაციისა და 7 მოწვეული სპეციალისტისგან. სხდომაზე საკითხთან დაკავშირებით ახალი საკანონმდებლო რეგულაციების საკითხზეც იმსჯელეს, რომელიც პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერების გავრცელების დროს, დანაშაულის სამართლებრივ პასუხისმგებლობას გაზრდის. როგორც საბჭოს თავმჯდომარემ, „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელმა, არჩილ კაიკაციშვილმა განაცხადა, წევრი ორგანიზაციების ცალკეული შეხდულებები და მოსაზრებები რეკომენდაციის სახით მიეწოდება პარლამენტს.

2016 წლის თებერვალში, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ ქართულ საბანკო სისტემაში, 2004-12 წლების მმართველობის დროს, თავისი მასშტაბით მომხდარ ყველაზე ვანდალური ფაქტის - ს.ს. „ინტელექტბანკის“ წართმევის, გაკოტრებისა და სიმბოლურ ფასად - 1 ლარად გასხვისების საქმეზე, მომზადებული კვლევის პრეზენტაცია გამართეს და აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას სარეკომენდაციო წინადადებების პაკეტით მიმართეს. ორგანიზაციის კვლევაში არაერთი დოკუმენტი და ფაქტობრივი გარემოება იქნა შესწავლილი. 2006 წლის თებერვალში, ხელისუფლებამ საქართველოს ეროვნული ბანკის მონაწილეობით, იერიში მიიტანა ქვეყნის ერთ-ერთი წარმატებული და მომგებიანი ბანკის კაპიტალზე. დაახლოებით 36 საათში, სახელმწიფოს რეპრესიული მანქანის მეშვეობით, ს.ს. „ინტელექტბანკი“ სიმბოლურ ფასად - 1 ლარად გასხვისდა. მაშინდელი ქართული საზოგადოება არ აღმოჩნდა მზად სწორი დასკვნები გაეკეთებინა და სამოქალაქო პროტესტი გამოეხატა ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაულის მიმართ, რამაც ჯაჭვური რეაქცია იქონია საბანკო სისტემის მიმართ, უკვე შემდგომ განვითარებულ მოვლენებზე. ანალიზმა ცხადყო, რომ პროცესში, ხელისუფლების მიზნების გამტარებელი აღმოჩნდა ქვეყნის მთავარი საფინანსო ინსტიტუტი - საქართველოს ეროვნული ბანკი, რომლის ორი პრეზიდენტის - რომან გოცირიძისა და გიორგი ქადაგიძის გადაწყვეტილებებმა, ხელისუფლების პოლიტიკური მიზნების შესრულებას შეუწყვეს ხელი, ს.ს. „ინტელექტბანკი“ კი ხელოვნურად მიიყვანეს გაკოტრებისა და გასხვისების პროცედურამდე. ხელისუფლებამ რეპრესიული პოლიტიკის გამოყენებით, შეძლო საბანკო სუბიექტების მონოპოლიზირება და მათი ფინანსური რესურსის გამოყენება საარჩევნო, წინასაარჩევნო თუ სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად, ხოლო ბანკები და მისი მფლობელები, რომლებიც არ აღმოჩნდნენ პოლიტიკური სისტემის ინტერესების გამზიარებელი თუ შემსრულებელი, პოლიტიკური ხელისუფლების მხრიდან დასჯის თვალსაჩინო მაგალითი აღმოჩდნენ. კვლევაზე მუშაობა 2015 წლის პირველი ნახევრიდან დაიწყო და კვლევის გამოქვეყნების შემდგომ, ორგანიზაცია აგრძელებს საქმის ადვოკატირებას. ამჟამად დანაშაულს საქართველოს მთავარი პროკურატურა იძიებს.

2016 წლის მაისში, „ახალაზრდა ადვოკატებმა“ ბიზნესმენ რამაზ ახვლედიანის მონაწილეობით, ლისის ტბის დათმობის საქმეზე სასამართლოში მიმდინარე პროცესთან დაკავშირებით, მედია–ფორუმი გამართა. შეხვედრის მიზანს დავის დეტალების მედიისთვის გაცნობა და საქმეში „ლისი ლეიქ დეველოპმენტის“ მესამე პირად ჩართვის მნიშვნელობაზე განმარტება გახლდათ. რამაზ ახვლედიანი 2006 წლის 4 ნოემბერს, დაიბარეს მაშინდელ ფინანსურ პოლიციაში და ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ დათმობა მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, პატიმრობით დაემუქრნენ, როგორც მას, ასევე მის ახლობლებს. რამაზ ახლედიანი იძლებული გახდა, თბილისის მაშინდელი მერიისა და მთავრობის სახელზე დაეწერა განცხადება და ეღიარებინა, რომ 1999 წლის საიჯარო ხელშეკრულებით, ასევე პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის განკარგულებით ნაკისრი ვალდებულებები ვერ შეასრულა და მოითხოვა საიჯარო ხელშეკრულების გაუქმება, რომლის მიხედვითაც, მას გადაეცა ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული შენობა - ნაგებობები და რომელიც ბიზნესმენს უკვე გამოსყიდული ჰქონდა. ამ განცხადებიდან მე-6 დღეს, 2006 წლის 10 ნოემბერს, საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა გამოსცა ახალი განკარგულება და 1999 წელს რამაზ ახვლედიანის მიერ შეძენილი და 2006 წელს კი პრეზიდენტის განკარგულებითვე გადაცემული ქონება ჩამოართვა. ამ საქმეს ამჟამად განიხილავს საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი. სასამართლომ მიიღო რამაზ ახლედიანის ინტერესების საწინააღმდეგო გადაწყვეტილება და სარჩელი არ დააკმაყოფილა, რომელიც ამჟამად სააპელაციო წესით განიხილება. დავის მხარეები, „ლისი ლეიქ დეველოპმენტთან“ ერთად, პრეზიდენტის ადმინისტრაცია და ქ. თბილისის მერიაა. ორგანიზაციამ კვლევის ფარგლებში შეიმუშავა რეკომენდაციები აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების მიმართ. კვლევა მიეწოდათ საერთაშორისო ორგანიზაციებს, საერთაშორისო ინსტიტუტებსა და დიპლომატიურ კორპუსს.

2016 წლის მარტში, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“, საკითხის მიმართ მაღალი საჯარო ინტერესის გამო, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილთან სადაო ქონებასთან დაკავშირებით, მედია-ფორუმი გამართა. შეხვედრის მიზანს ჟურნალისტური კორპუსისთვის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გაცნობა წარმოადგენდა. ასევე, ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ გიორგი პაპუაშვილის განცხადებების გამო, ადგილი ჰქონდა საზოგადოების მიზანმიმართულ შეცდომაში შეყვანას. შესაბამისად, ფორუმზე დამსწრე ჟურნალისტებს საშუალება მიეცათ, უშუალოდ გაცნობოდნენ საქმეს. დაესვათ კითხვები და როლანდ ბლადაძის კანონიერი ინტერესების დამცველთაგან, მიეღოთ ამომწურავი ინფორმაცია.

2016 წლის მარტში, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ სადისკუსიო შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. საკითხები ეხებოდა: შრომითი უფლებების დარღვევებს, შრომის ინსპექტორის უფლებამოსილებას, გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირების მექანიზმებს, შრომის ინსპექციის სახელმწიფო პროგრამას და მოსალოდნელ საკანონმდებლო ცვლილებებს. ორგანიზაციამ გამოთქვა პოზიცია - პროფესიულმა ორგანიზაციებმა სათანადო ყურადღება უნდა დაუთმოს, თუ რა მდგომარეობაა საჯარო სკოლებსა და საბანკო სფეროში დასაქმებულთა უფლებების თვალსაზრისით. განსაკუთრებული სირთულის წინაშე დგას მედიის სფეროში დასაქმებული, სტაჟირებაზე მყოფი პირები. მნიშვნელოვანია, საერთო სასამართლოებში, შრომითი დავების განხილვა მოხდეს დაჩქარებული წესით, რადგანაც შექმნილი პრაქტიკით, წლების მანძილზე არსებულ დავებს, მხოლოდ მოსამართლეების შინაგანი წუხილი ვერ უშველის.

2016 წლის ივნისში, „ახალგაზრდა ადვოკატები“ „მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის“ (IOM) მიერ გამართულ შეხვედრას დაესწრო, რომელიც ეხებოდა საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების მხარდაჭერის მიმართულებებისა და პროცედურების საკითხს. შეხვედრაზე განხილული იქნა საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების 2016 წლის პროგრამის მიმართულებები, მიზნები და გამოწვევები, რეინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამაში ბენეფიციარის ჩართვის კრიტერიუმები და წინაპირობები, კონსულტირების ტექნიკა და ბენეფიციართა საჭიროებების დადგენა, პროექტის სამედიცინო კომპონენტში მონაწილეობის შესაძლებლობები და პროცედურები.

2016 წლის ნოემბერში, „ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს ადვოკატის პროფესიულ დღესთან გამართულ მრგვალ მაგიდას დაესწრო, რომელიც ასოციაციის მიღწევებს, გამოწვევებსა და სამომავლო გეგმებს მიეძღვნა. შეხვედრას საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციის, საქართველოს პარლამენტის, სასამართლოსა და პროკურატურის, იურიდიული ფირმების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ორგანიზაციამ, 2016 წელს, თავისი მკაფიო პოზიციაც გამოთქვა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიმართ წარმოებულ დაუსაბუთებელ ცილისწამებლური კამპანიის მიმართაც და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია პროფესიული გილდია იდგეს საერთო ღირებულებებზე და სათანადოდ აფასებდეს კორპუსის წინაშე დღეს არსებულ გამოწვევებსა და საფრთხეებს.

GEORGIAN
GIFTS

PRESS

დღეს პრობლემა ბევრი ქართული დამოუკიდებელი კვლევითი კომპანიის არარსებობაა

2016 წლის აპრილში, ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ გუნდმა, თბილისში სოციოლოგიური გამოკითხვა ჩაატარა. ორგანიზაციამ საზოგადოებრივი აზრის კვლევის ტრადიცია, არც წელს დაარღვია. სოციოლოგიური კვლევა ეხებოდა საქართველოს საპარლამენტო არჩევნების მოლოდინებთან მიმართებით მოქალაქეების განწყობების დადგენას. გამოკითხვა: „პოლიტიკოსების და პოლიტიკური პარტიების ნდობის რეიტინგი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ“ თბილისის სამ ნაწილში – მარჯანიშვილის მოედანზე, რუსთაველის გამზირსა და პეკინის ქუჩაზე ჩატარდა. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, გამოიკითხა 1000 რესპოდენტი.

მოქალაქეების მიმართ დასმული იქნა 4 კითხვა: „ხვალ, რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს, მიიღებდით თუ არა მონაწილეობას?“, „რომელი პოლიტიკური პარტია იმსახურებს თქვენს მხარდაჭერას?“, „დაასახელეთ პოლიტიკოსი, რომელის საქმიანობაც მოგწონთ?“ და „რა განაპირობებს საპარლამენტო არჩევნებში მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობას?“.

ორგანიზაციის შეფასებით, პერიოდულად ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები NDI და IRI, უფრო ზუსტად, მათი საქართველოს წარმომადგენლობები აქვეყნებენ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებს, რომელთა მიმართ ქართულ საზოგადოებას არერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვს. მოქალაქეებისა და პოლიტიკური პარტიების უმეტესობა ამ გამოკითხვების შედეგებს არ ენდობა, თუმცა მიიჩნევს, რომ მათში ზოგადად მოსახლეობის განწყობის ძირითადი მომენტები და ტენდენციები სწორადაა ასახული.

ჩვენ მივდივართ იმ დასკნამდე, რომ შესაბამისი ნდობის არარსებობის გამო, აუცილებელია დეზორიენტირებული საზოგადოებისთვის უფრო მეტი ობიექტური და მიუკერძოებელი მონაცემების მიწოდება. რა თქმა უნდა, ჩვენი გამოკითხვა არ შეიძლება სრულ, ზუსტ და უტყუარ სურათს წარმოსახავდეს, მაგრამ შესაბამისი მეთოდიკის დაცვით, ვფიქრობთ მივაღწიეთ ჩვენს სინამდვილეში ესოდენ იშვიათი ფაქტის შექმნას – ჩატარდა მიუკერძოებელი გამოკითხვა და დაიდო მიუკერძოებელი შედეგები, რაც ვფიქრობთ, პრეცედენტია და მას სხვებიც მიბაძავენ.

ორგანიზაციის პოზიციაა, რომ საქართველოს პრეზიდენტის ინსტიტუტმა ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში რამდენიმე დამოუკიდებელი სოციოლოგიური კვლევის კომპანიის ჩამოყალიბებას, რათა ქართველებს აღარ ჰქონდეთ რომელიღაც ჯუნგლებში ჩაკარგული ბანტუსტანის, არაცივილიზებული საზოგადოების განცდა, ევროკავშირთან დაახლოების გზაზე დამდგარ ქვეყანაში. ევროკავშირის არცერთ ქვეყანაში ასეთი ვითარება არ არის და პრინციპში წარმოუდგენელიცაა, რომ იარსებოს.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების დახმარებისა და რეინტეგრაციისთვის

„ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ დაფინანსებული სახელმწიფო გრანტის ფარგლებში, მთელი საქართველოს მასშტაბით, ახორციელებს პროექტს: „სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტთა უფასო იურიდიული დახმარება“. პროექტის ფარგლებში, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების კამპანიის ფარგლებში, რეგიონალური შეხვედრები გაიმართა აჭარაში, გურიაში, სამეგრელოსა და იმერეთის რეგიონებში. 2017 წლის მარტის თვის მდგომარეობით, შეხვედრები გაიმართება შიდა ქართლის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონში. მოქალაქეებს შეხვედრაზე მიეწოდებათ არალეგალური მიგრაციის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ არსებული სინამდვილე, გამოწვევები, პრევენცია, სხვა ქვეყნის მაგალითები.

ორგანიზაცია სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტებს უფასო იურიდიულ მომსახურებას 2017 წლის მარტის ჩათვლით სთავაზობს და საქართველოს, 6 რეგიონში, არალეგალური მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებით სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების კამპანიას ახორციელებს. პროექტში, უფასო იურიდიული მომსახურების მიღების უფლება გააჩნიათ საქართველოს მოქალაქეებსა ან მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოში ბინადრობის უფლებით, რომლებიც იმყოფებოდნენ საზღვარგარეთ 1 წელზე მეტი ვადით არალეგალად ან საზღვარგარეთ გააჩდათ განაცხადი თავშესაფრის მიღებაზე, სამშობლოში დაბრუნებიდან 1 წლის განმავლობაში. ასეთი პირები ორგანიზაციის მხრიდან სამოქალაქო და ადმინისტრაციულ დავებზე უფასო იურიდიულ და წარმომადგენლობით მომსახურებას მიიღებენ. საქმეებზე მომზადდება განცხადებები, მიმართვები, სარჩელები, შესაგებლები, კერძო სარჩელები, საჩივრები და გაიგზავნება შესაბამის ადრესატებთან. მოხდება მათზე მიდევნება და გადაწყვეტილებების შესაბამისი რეაგირება.

პროექტის ფარგლებში, არალეგალური მიგრაციის შესახებ პრეზენტაციების მიზანია, საზოგადოებას მიეწოდოს ინფორმაცია, თუ რას გულისხმობს არალეგალური მიგრაციის ძირითადი გზები, რომელია ადამიანთა ვაჭრობის ყველაზე გავრცელებული სახეები, რა საკანონმდებლო სიახლეებია ეროვნულ და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილების მქონე ქვეყნებში, რა პრევენციას ანხორციელებს საქართველო და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილების მქონე ქვეყნები, როგორ იცავს და ეხმარება საქართველო არალეგალური მიგრაციის შედეგად დაზარალებულ პირებსა და მსხვერპლთ, ტრეფიკინგის შემთხვევებთან დაკავშირებით, როგორ უნდა მოხდეს უფლებამოსილ ორგანოებთან/პირებთან დაკავშირება.

პროექტით გათვალისწინებულია არანაკლებ 20 ბენეფიციარის იურიდიული მომსახურება. ორგანიზაცია უზრუნველყოფს პროექტის ფარგლებში, თითოეული ბენეფიციარისთვის გამოყოფილი თანხის მაქსიმალურ ათვისებას, რაც გულისხმობს, რომ თითოეულ ბენეფიციარზე მათი საჭიროებებიდან გამომდინარე, სრულად დაიხარჯება 500 ლარი. იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციართა ინტერესები (სახელმწიფო ბაჟი, ექსპერტიზის მომზადება, სანოტარო მოქმედებები, ინფორმაციის მიღება და სხვა) მოითხოვს გამოყოფილ 500 ლარზე მეტი თანხის დახარჯვას, ორგანიზაცია აღნიშნულ ბენეფიციარებს უარს არ ეტყვის მომსახურების გაწევაზე ბენეფიციარის თანადაფინანსების მონაწილეობით.

აღნიშნული პროექტი გაგრძელდება 2017 წლის 31 მარტის ჩათვლით. ორგანიზაციაში ბენეფიციარებთან ურთიერთობისთვის მოქმედებს ცხელი ხაზი: 599 291202.

ორგანიზაცია სამშობლოში დაბრუნებულ მიგრატთა რეინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მიგრანტთა იურიდიული მომსახურების უზრუნველყოფის პროექტს, უკვე მეორედ ახორციელებს.

სახელმწიფომ 2016 წლის იანვარში „ახალგაზრდა ადვოკატებს“ პროექტის საუკეთესოდ განხორციელებისთვის, სპეციალური ჯილდოც გადასცა.

შეხვედრა გორში

შეხვედრა ქობულეთში

შეხვედრა ბათუმში

შეხვედრა ბათუმში

შეხვედრა ზუგდიდში

შეხვედრა ზუგდიდში

შეხვედრა ქუთაისში

შეხვედრა ქუთაისში

„ქობულეთი – ტოლერანტობის ქალაქი“ – პროექტი, რომელმაც ახალი თაობა გააერთიანა

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ 2016 წლის ივლისში, ქობულეთში მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში განხორციელებული პროექტის: „ქობულეთი – ტოლერანტობის ქალაქი“ შემაჯამებელი ღონისძიება და პროექტის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული და წარმატებული მოსწავლეების დაჯილდოვება გამართეს.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელის, არჩილ კაიკაციშვილის განცხადებით, პროექტი შედგა, ქობულეთს კი ჰყავს საუკეთესო მომავალი თაობა, რომელიც ფიქრობს, მსჯელობს, აფასებს და გვთავაზობს პრობლემის გადაჭრის, გარემოს შეცვლის და თანაცხოვრების მნიშვნელოვან ხედვებს და ეს შეხედულებები მოცემულია დროსა და სივრცეში, თანამედროვეობასთან და ტრადიციულობასთან მაქსიმალური სიახლოვით. მისი თქმით, საჭიროა მეტი საგანმანათლებლო და ახალგაზრდული პროექტი და ინიციატივა, რათა ახალგაზრდებმა მაქსიმალურად აღმოაჩინონ საკუთარი თავი. მოხდეს სამოქალაქო პასუხისმგებლობის საუკეთესო პრინციპებზე დაფუძნება და ქალაქის ინტელექტუალური შესაძლებლობების მართველობაში თუ თვითმმართველობაში მიმართვა. პროექტმა წარმოაჩინა, რომ საზოგადოებას სათანადოდ ესმის ადგილობრივი ტოლერანტული გარემოს მნიშვნელობა, ეთნიკური თუ რელიგიური მრავალფეროვნების კულტურული კავშირები და ახალგაზრდების განსაკუთრებული მოტივაცია არსებობს, მათი ცხოვრების წესი დაეფუძნოს მორალურ და სამართლებრივ წესრიგს.

პროექტის მიმდინარეობის მანძილზე, გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში, სულ 21 მოსწავლის ნაშრომი იქნა შემოსული. მოსწავლეებს საკუთარი მსჯელობა უნდა წარმოედგინათ ორ თემაზე: „ჩემი ტოლერანტული ქალაქი“ და „მე ვარ საქართველოს მოქალაქე“. წარმოდგენილი 21 თემიდან 12 ეხება თემას: „მე ვარ საქართველოს მოქალაქე,“ ხოლო 9 თემა მომზადდა საკითხზე: „ჩემი ტოლერანტული ქალაქი“. პროექტში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა მოსწავლეებმა: ანა ანთაძე, თამარ ბერიძე, თამთა ცეცხლაძე, ლია ბოლქვაძე, ნინო გოლიაძე, რეზო ბაჟუნაიშვილი, ქრისტინა დევაძე, ჯემალ ართმელაძე, ჯუმბერ ალიმოვი. სწორედ მათ მოამზადეს თემა საკითხზე: „ჩემი ტოლერანტული ქალაქი“, ხოლო მოსწავლეებმა: ანა ქარცივაძე, დავით შაინიძე, ზურაბ მიქელაძე, თათია პაპიძე, იზა აბაშიძე, ლინდა ბოლქვაძე, მარიამ ტაკიძე, მარიკა დავითაძე, მედეა მიქელაძე, ნათია ცენტერაძე, რომა გოკორიანი და სალომე ჭყონია, წარმოადგინეს ნაშრომები თემაზე: „მე ვარ საქართველოს მოქალაქე“. პროექტში აქტიური მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტის სულ 9 სკოლამ, წამოდგენილი თემები კი სპეციალური კომისიის მიერ შეფასდა.

პროექტმა გამოავლინა საპრიზო I, II და III ადგილზე საუკეთესო თემები და გამარჯვებული ავტორები. პროექტში I ადგილის მფლობელი გახდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის №5 საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე ჯუმბერ ალიმოვი თემისთვის: „ჩემი ტოლერანტური ქალაქი“. II ადგილის მფლობელი გახდა ქაქუთის საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე ანა ქარცივაძე თემისთვის: „მე ვარ საქართველოს მოქალაქე“, ხოლო პროექტის III ადგილის მფლობელი კომისიის მხრიდან ორი თანაბარი ძალის მქონე ნაშრომი დასახელდა – ქობულეთის მუნიციპალიტეტის №3 საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე ნათია ცენტერაძისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის №2 საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლე ლინდა ბოლქვაძის თემები – „მე ვარ საქართველოს მოქალაქე“. პროექტის გამარჯვებულებს გადაეცათ ფულადი სახის საჩუქარი, პროექტის ყველა მონაწილემ წარმოდგენილი ნაშრომისთვის და გამოვლენილი სამოქალაქო პასუხისმგებლობისთვის, მიიღეს სერტიფიკატები. პროექტის კრებულის პირველი გვერდის საილუსტრაციოდ წარმოდგენილ იქნა საკონკურსო თემისთვის შექმნილი ნახატი რელიგიური ტოლერანტობის შესახებ, რომელის ავტორიც ლია ბოლქვაძე, სოფელ ჩაისუბნის №2 საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე გახდა.

პროექტის პრეზენტაცია ქობულეთში

პროექტის პრეზენტაცია ქობულეთში

პროექტის დაჯილდოება ქობულეთში

პროექტის დაჯილდოება ქობულეთში

„ახალგაზრდა ადვოკატები“ თსუ–ში მიმდინარე მოვლენების კვალდაკვალ

2016 წლის მანძილზე, „ახალგაზრდა ადვოკატები“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მმართველობითი რგოლის არჩევნებში სადამკვირვებლო ორგანიზაციის სახელით მონაწილეობდა. ორგანიზაციამ მონიტორინგი გაუწია თსუ-ის ადმინისტრაციის უფროსის (კანცლერის), თსუ-ის რექტორის, თსუ-ის აკადემიური საბჭოსა და თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებს. მონიტორინგის პროცესში, გასცა ცალკეული მითითებები და რეკომენდაციები. ორგანიზაციამ პრინციპული პოზიცია დაიჭირა 2016 წლის მარტში, თსუ-ის კანცლერის არჩევნების პროცესში არსებულ კანონდარღვევებსა და მიმართა უნივერსიტეტს, თავიდან მოეხდინა არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფა. დადებითად შეფასდა აკადემიური საბჭოს არჩევნები, რომელიც პასუხობდა გამჭვირვალე საარჩევნო პროცედურებს. შენიშვნები გამოითქვა თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების პროცესში არჩევნების თავისუფალ გარემოში ჩატარების საკითხზე. ორგანიზაციისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმატებას და როლს საზოგადოების წინაშე ისტორიული როლისა და თანამედროვეობაში მაღალი სტანდარტის განათლების მიღების მიმართულებით. შესაბამისად, მნიშვნელობა აქვს იმ საქმიანობის პოლიტიკას და პროგრამას, რომელიც საფუძვლად უდევს არჩეული პირების თუ ინსტიტუციების შემდგომ საქმიანობას.



„ახალგაზრდა ადვოკატები“ 2016 წლის პარლამენტის არჩევნების პროცესში

ჩვენ ვაკვირდებით საარჩევო გარემოს, ვსწავლობთ მის მიმდინარეობას და ვაპირებთ პერიოდულად წარვუდგინოთ საზოგადოებას, როგორც წინასწარი, ისე საბოლოო კვლევის შედეგები. მიდგომის მთავარი არსი ისაა, რომ არჩევნების სამართლიანობას განსაზღვრავენ არა უცხოელი დამკვირვებლები, რომლებიც საპარლამენტო არჩევნების დღეს, გარკვეული მარშრუტით ჩამოუვლიან ხოლმე საარჩევნო უბნებს, თუმცა მათი მისიაც აუცილებელი და საჭიროა, არამედ მიუკერძოებელი და პირუთვნელი არასამთავრობები და ექსპერტები, საბედნიეროდ, ასეთებიც არიან საქართველოში. ჩვენ არ გვაქვს არჩევნების და საარჩევნო პროცესის კომპლექსური და ღრმა, ყოვლისმომცველი შესწავლის პრეტენზია, მაგრამ გვაქვს გამოცდილება, რომელზე დაყრდნობითაც ჩვენს საზოგადოებრივ ვალდებულებას შევასრულებთ. ორგანიზაციამ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ჩაატარა სოციოლოგიური გამოკითხვა, რომლის შედეგებიც, ასე გადანაწილდა. კითხვაზე: „ხვალ, რომ საპარლამენტო არჩევნების დღე იყოს, მიიღებდით თუ არა მონაწილეობას?“, 58,3% – აპირებდა საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას (583 რესპოდენტი), 16,4% – არ აპირებდა მონაწილეობის მიღებას (164 რესპოდენტი) და 25,3% - ჯერ არ ჰქონდა გადაწყვეტილი (253 რესპოდენტი). კითხვაზე: „რა განაპირობებს თქვენს გადაწყვეტილებას მონაწილეობა მიიღოთ არჩევნებში და საერთოდ იყოთ აქტიური მოქალაქე? (ამ კითხვას უპასუხეს მხოლოდ იმ რესპოდენტებმა, რომლებიც აპირებენ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას), სამოქალაქო პასუხისმგებლობა – 39.8% (398 რესპოდენტი), ქვეყანაში ცვლილებების სურვილი – 29.7% (297 რესპოდენტი), რეალისტური საარჩევნო პროგრამები – 17.3% (173 რესპოდენტი) და საარჩევნო სიებში ახალი საინტერესო სახეების და გამოცდილი პროფესიონალების არსებობა – 13.2% (132 რესპოდენტი). კითხვაზე: „ხვალ, რომ საპარლამენტო არჩევნების დღე იყოს, რომელ პოლიტიკურ ძალას (პარტიას, გაერთიანებას) დაუჭერდით მხარს?(რესპოდენტს უნდა დაესახელებინა ერთი რომელიმე პოლიტიკური პარტია ან გაერთიანება)“, პარტიათა ხუთეული ასე გადანაწილდა: „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „თავისუფალი დემოკრატები“, „პატრიოტთა ალიანსი“ და „ლეიბორისტული პარტია“, ხოლო კითხვაზე: „რომელ პოლიტიკოსს ედობით ყველაზე მეტად? (რესპოდენტს უნდა დაესახელებინა ერთი, რომელიმე პოლიტიკოსის სახელი და გვარი), პოლიტიკოსების ხუთეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: გიორგი კვირიკაშვილი, დავით ბაქრაძე, ირაკლი ალასანია, ირმა ინაშვილი და დავით სერგეენკო (გამოკითხვის შედეგები სრულად წარმოდგენილია ორგანიზაციის ვებ-გვერდზე). ორგანიზაციის სოციოლოგიური კვლევა თბილისში, 2016 წლის აპრილში ჩატარდა, საქართველოს პარლამენტის 2016 წლის არჩევნების პირველ და მეორე ტურის შედეგებმა კი აჩვენა, რომ „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები პირუთვნელად წარუდგინა საზოგადოებას და მინიმუმი ცდომილების გათვალისწინებით, დაემთხვა არჩევნების ობიექტურ შედეგებს.

ის, რაც ჩვენც შორის, ზოგიერთ ქართველ პოლიტიკოსს გაუნათლებლობის თუ ჩამორჩენილობის სინონიმი ჰგონია, განვითარებული კაცობრიობისთვის სამედიცინო მნიშვნელობის ტერიმინი და მოვლენაა, რასაც ბავშვებთან და ბავშვობასთან მივყავართ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით, 2011 წელს 21 მარტი, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღედ დაწესდა. ,,მეგობრები ქრომოსომებს არ ითვლიან" – ასეთია დღევანდელი დღის მთავარი ესტაფეტა. ვიწყებთ სამუშაო შეხვედრას ამ განწყობით და ვუერთდებით მხარდამჭერ ფოტო–აქციასაც.



„კაიკაციშვილი და ადვოკატები"

იურიდიული დახმარება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე, მომსახურება - 24/7, უფასო კონსულტაცია, წარმომადგენლობა ყველა ინსტანციაში.

www.kbarristers.ge

საქართველო, თბილისი, მარჯანიშვილის მოედანი, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა №12
ორგანიზაციის ტელეფონი: (+995 32) 295 35 18, 599 291202

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ 2016 წელს, არაერთი ხმაურიანი განცხადებით, სამართლიანობის აღდგენის პროცესის დაჩქარება და საჯარო მოხელეების პასუხისმგებლობის საკითხის დასმა მოითხოვეს. 2016 წლის მარტის თვეში, საქართველოს პროკურატურაში, ორგანიზაციამ შეიტანა საჩივარი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე 2007-2016 წლებში, გიორგი პაპუაშვილის მიმართ და მოითხოვა გამოძიების დაწყება გიორგი პაპუაშვილის მხრიდან ორგანიზაციის საქმიანობაში ჩარევის ფაქტებთან დაკავშირებით. 2016 წლის 24 ოქტომბერს, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საჩივრით მიმართეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესს საბჭოს და მოითხოვეს სამი მოსამართლის: დიანა ფარქოსაძის, ნინო ქადაგიძისა და ტარიელ ტაბატაძის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დასმა. აღნიშნულმა მოსამართლეებმა პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილებები მიიღეს მოქალაქე როლანდ ბლადაძის საქმეზე. ორგანიზაცია მოქმედებდა და ხმას იმაღლებდა ს.ს. „ინტელექტბანკის“ გაკოტრების საქმეზეც.

საქართველოში სამართლიანობის აღდგენისთვის ისევ ტირიან

მარინა ესელიძე თბილისის საქალაქო სასამართლოში, მოსამართლე დიანა ფარქოსაძის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო ტირის და ამბობს, რომ მოლოდინი გააჩნდა, მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების მიერ უკანონოდ ჩამორთმეულ ქონებაზე ახალი ხელისუფლების პირობების სასამართლო, კანონიერ გადაწყვეტილებას მიიღებდა. 2004 წლის „ვარდების რევოლუციის" შედეგად მოსულმა ხელისუფლებამ აჭარის რეგიონში, აჭარის 2004 წლამდე მოქმედი მთავრობის წარმომადგენლების მიმართ, ქონებების უკანონოდ ჩამორთმევისა და დაპატიმრებების მძიმე პროცესი წამოიწყო. მარინა ესელიძის მეუღლე, როლანდ ბლადაძეს, რომელსაც ადმინისტრაციული თანამდებობა ეკავა, საცხოვრებელი ბინა ჩამოართვეს. ქონება 1999 წელს იქნა შეძენილი, ნოტარიულად 2000 წელს დამოწმებული, მაშინდელი პროკურატურის სადავო პერიოდი კი, სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელების პერიოდი - 2001-2004 წლები იყო. ეს საქმე სამაგალითოა და შეიძლება ერთი შეფასებით დახასიათდეს - სისტემა მოქალაქის წინააღმდეგ. 2013 წლის აპრილში, როლანდ ბლადაძე, დამოუკიდებელი გამოძიების შედეგად, უდანაშაულად იქნა ცნობილი, თუმცა ჩამორთმეული სახლი, სიმბოლურ ფასად, 1000 ლარად, მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, 2007-2016 წლებში, გიორგი პაპუაშვილს გადასცა.

„ახალგაზრდა ადვოკატები" საქმეზე 2014 წლიდან ჩაერთო და ქონების დათმობის ფაქტი საერთაშორისო საზოგადოებისთვისაც გახადა ცნობილი. 12-წლიანი უთანასწორო ბრძოლის შედეგად, რეალური დავა დაიწყო საერთო სასამართლოებში. მხარეები: გიორგი პაპუაშვილი და სახელმწიფო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახით. როლანდ ბლადაძის სასარჩელო მოთხოვნებია: ბათილად იქნეს ცნობილი 2007 წლის 21 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულება, როგორც კანონსაწინააღმდეგო და ამორალური და გიორგი პაპუაშვილი აღიარებულ იქნეს არაკეთილსინდისიერ შემძენად და მფლობელად, შესაბამისად, ბათილად იქნეს ცნობილი 2007 წლის 21 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულება.

„საზოგადოებამ იცის, რომ გიორგი პაპუაშვილი ქონებაჩამორთმეულის სახლში ცხოვრობს. ჩვენ პირველი ინსტანციის სასამართლოში, ვერ მივაღიწეთ იმ აუცილებელ შედეგს, იმ კანონიდან გამომდინარე შედეგს, რომელიც როლანდ ბლადაძეს ქონებრივ უფლებებში აღადგენდა. შესაბამისად, საქმეში არის უამრავი დარღვევა, რომელსაც ყურადღება უნდა მიაქციოს სააპელაციო პალატამ. ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და გიორგი პაპუაშვილს, დროულად მიიღონ გადაწყვეტილებები ჩამორთმეული ქონების მისი პირვანდელი და ერთადერთი მესაკუთრის, როლანდ ბლადაძის მიმართ დაბრუნებასთან დაკავშირებით. მე ვპირდები საზოგადოებას, რომ სააპელაციო სასამართლოში ეს საქმე იქნება წლის საქმე, სადაც გიორგი პაპუაშვილის აუცილებლად დამარცხდება" – განაცხადა მედიისთვის გაკეთებულ განცახდებაში არჩილ კაიკაციშვილმა.

როლანდ ბლადაძის საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოში სხვა ახალი მტკიცებულებებიც იქნა წარდგენილი, რომელიც მიუთითებს, რომ 2004–2007–2012 წლებში, სახელმწიფოს ცალკეული საჯარო უწყებების მხრიდან არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია არც როლანდ ბლადაძის წერილობით საჩივრებს და არც საპარლამენტო კომიტეტების მიმართვებს. მხარე გაოგნებულია იმ ფაქტითაც, რომ მოსამართლე დიანა ფარქოსაძეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების არც ერთ მონაკვეთში არ უმსჯელია 2013 წლის 12 აპრილის პროკურატურის დადგენილებაზე, რომლითაც როლანდ ბლადაძეს არსებული დავის ფარგლებში, გააჩნია იურიდიული ინტერესი დაიბრუნოს წართმეული ქონება. პროკურატურის აღნიშნული დადგენილებით როლანდ ბლადაძე უდანაშაულოდ იქნა ცნობილი, ხოლო დანაშაული, რომლის საფუძველზეც მას ქონება სახელმწიფომ ჩამოართვა და გიორგი პაპუაშვილს გადასცა, დამტკიცებულია, რომ არც არასდროს ჩადენილა და არსებულა.

2016 წლის 27 ოქტომბერს, თბილისის სააპელაციო სასამართლოში, არჩილ კაიკაციშვილმა შეძლო დაემტკიცებია, რომ საქმის განმხილველი პალატა იყო მიკერძოებული და საქმეს უნდა ჩამოშორებოდა. შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, საქმეზე პროცესები 2017 წლიდან გაგრძელდება.

2016 წლის 6 ივლისი, „ახალგაზრდა ადვოკატების“ საპროტესტო აქცია ბათუმში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთან, მოთხოვნაზე: საკონსტიტუციო სასამართლომ შეფასება მისცეს გიორგი პაპუაშვილის გადაწყვეტილებებსა და ქმედებებს, რომელიც არ თმობს მოქალაქე როლანდ ბლადაძის ჩამორთმეულ ქონებას და ოჯახთან ერთად აგრძელებს ცხოვრებას სხვის სახლში. საპროტესტო აქციას ესწრება როლანდ ბლადაძის ოჯახის წარმომადგენლები და ადგილობრივი სამოქალქო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

მოვლენა – ვერც ერთი ბანკი „ღმერთმა დაგლოცოს" გამო, კადრებს ვერ გაათავისუფლებს

წლის საქმე - „ახალგაზრდა ადვოკატებნმა" გერმანულ ბანკთან გახმაურებულ სამოქალაქო დავაზე, პრეცედენტი შექმნა. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ უკვე გამოიტანა გადაწყვეტილება ბანკიდან, მათ შორის რელიგიური აღმსარებლობის ნიშნით გათავისუფლებული ანა მაჩიტაძის საქმეზე. პირველად, საქართველოს ისტორიაში, შრომითი დავების პრაქტიკასა და საბანკო სფეროდან გათავისუფლების საქმეზე, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიუთითა, რომ ქალბატონის ბანკიდან დათხოვნის სამი საბაბიდან – ერთ–ერთი რელიგიური ნიშნით მიღებული გადაწყვეტილება იყო. სასამართლომ ცალსახად აღნიშნა, რომ კლიენტის მიმართ სიტყვები: „ღმერთმა დაგლოცოს", არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება ფამილარულ დამოკიდებულებად შეფასდეს და დამსაქმებლის მხრიდან დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი გახდეს. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არჩილ კაიკაციშვილის საქმეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391–ე მუხლის მე–5 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, უკვე უწოდა მნიშვნელოვანი სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლო ეთანხმება თბილისის სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ მიმართვა: „ღმერთმა დაგლოცოს" ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებული ურთიერთობის სტანდარტებიდან და ფორმიდან გამომდინარე, არ შეიძლება შეფასდეს ფამილარულ დამოკიდებულებად. სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად და ცალსახად განაცხადა, რომ „პროკრედიტ ბანკის" საკასაციო საჩივარი, ამ ნაწილშიც, აღმოჩნდა დაუსაბუთებელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ს.ს. „პროკრედიტ ბანკის" წინააღმდეგ მოქალაქე ანა მაჩიტაძის პრეცედენტულ შრომით დავასთან დაკავშირებით, საქმეზე დამასრულებელი და ბანკის მიმართ საწინააღმდეგო გადაწყვეტილება 2016 წლის 13 ოქტომბერს მიიღო, რითაც ქართულ სასამართლოებში, კლიენტების მიმართ „ღმერთმა დაგლოცოს" მიმართვის გამო, ბანკიდან გათავისუფლებული თანამშრომლის გახმაურებული და ცნობილი საქმეზე, სამართალწარმოება დასრულდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით, აგრეთვე ბათილად იქნა ცნობილი ბანკის 2014 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ და ანა მაჩიტაძე აღდგენილ იქნა ბანკის ფიზიკური პირების მრჩევლის თანამდებობაზე.

გვსურს საზოგადოებას შევახსენით საქმეზე სამართალწარმოების პროცესი და მიღებული გადაწყვეტილებები, ვინაიდან თვალსაჩინო გახდეს საკითხის ისტორია:

1. 2015 წლის 26 ივნისის თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, არ დაკმაყოფილდა ანა მაჩიტაძის სარჩელი. ანა მაჩიტაძემ გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო წესით;
2. 2015 წლის 21 დეკემბრის თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, ანა მაჩიტაძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. ს.ს. „პროკრედიტ ბანკმა" თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება გაასაჩივრა საქართველოს უზენაესს სასამართლოში;
3. 2016 წლის 19 აპრილის საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით, ს.ს. „პროკრედიტ ბანკის" საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფლდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 21 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს;
4. 2016 წლის 27 მაისის თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ანა მაჩიტაძის საჩივარი დაკმაყოფილდა სრულდა, 2015 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილების შეცვლით, მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. ს.ს. „პროკრედიტ ბანკმა" სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა;
5. 2016 წლის 13 ოქტომბრის საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით, ს.ს. „პროკრედიტ ბანკის" სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა ცნობილი დაუშვებლობის გამო.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ბანკიდან თანამშრომლის გათავისუფლების მიზეზი გახდა დასაქმებულის არაკვალიფიციურობა და მისი უნარ-ჩვევების შეუსაბამობა დაკავებულ პოზიციასთან. ბანკმა „არაკვალიფიციურობის" გამომხატველ გარემოებად მიიჩნია ანა მაჩიტაძის მხრიდან ბანკის მიერ დადგენილი სამუშაო ფინანსური გეგმის შეუსრულებლობა, საქმიანობის შესახებ შიდა პრეზენტაციების ჩაუტარებლობა, ხოლო „უნარ-ჩვევების" შეუსაბამობაში იგულისხმა კლიენტებთან ზედმეტი ფამილარობა, რაც გამოიხატებოდა სიტყვებით: „ღმერთმა დაგლოცოთ".

„ახალგაზრდა ადვოკატები“ V.S თამარ ჩერგოლეიშვილი

„ახალგაზრდა ადვოკატებსა“ და ჟურნალ „ტაბულას“ მთავარ რედაქტორ თამარ ჩერგილეიშვილს შორის სასამართლო დავა 2014 წლიდან მოდის, როდესაც პოლიტიკოსის მეუღლემ ორგანიზაციის კვლევაზე ორგანიზაციის მიმართ საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობები გაავრცელა და „ახალგაზრდა ადვოკატები“ კვლევის მომზადების პროცესში, ხელისუფლებიდან დავალებების მიმღებ ორგანიზაციად დაასახელა. საქმეს თბილისის სააპელაციო სასამართლო განიხილავს. საზოგადოებას შევახსენებთ, რომ გასაჩივრებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც სასამართლომ თამარ ჩერგოლეიშვილის გამონათქვამები ორგანიზაციის მიმართ, გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში პოზიციად მიიჩნია და აღნიშნა, რომ ჟურნალისტის მიმართ ორგანიზაციის მეტი ტოლერანტობა უნდა გამოჩინა. „ახალგაზრდა ადვოკატების“ მიმართ თამარ ჩერგოლეიშვილის კრიტიკა გამოქვეყნებულ კვლევას: „პოლიტიკოსების ქონებრივი დეკლარაცია და მათი ფარული ბიზნეს ინტერესები“– მოჰყვა, სადაც საუბარი შეეხო მოპასუხის მეუღლის, გიგა ბოკერიას ოჯახთან დაკავშირებული ფირმების მოგების მაჩვენებლებს. ორგანიზაცია მიუთითებდა, რომ თამარ ჩერგოლეიშვილს, კვლევის ავტორების ხელისუფლებასთან დაკავშირებით, საზოგადოება მიზანმიმართულ შეცდომაში შეჰყავდა, ადგილი ჰქონდა მცდარი ცნობების გავრცელებას, ხოლო თუკი სახელისუფლებო პარტიასთან ფარული დავალებების რაიმე სახის მტკიცებულება არსებობდა, პოლიტიკოსის მეუღლეს საზოგადოებისთვის საჯარო უნდა გაეხადა.

თამარ ჩერგოლეიშვილის მხრიდან, სწორედ ამ განცხადებას მოჰყვა ორგანიზაციის თანადამფუძნებლის, თინათინ ნიბლოშვილის ფოტოს გამოქვეყნებაც, რომელიც ტრიბუნასთან, ბიძინა ივანიშვილის გვერდით დგას. ორგანიზაციამ მოპასუხის ბრალდებას უპასუხა და მიუთითა, რომ აღნიშნული ფოტო გადაღებულ იყო 2012 წლის 21 აპრილს, პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ დამფუძნებელ ყრილობაზე. რა დროსაც „ახალგაზრდა ადვოკატები“ დაფუძნებულიც არ იყო, ხოლო თინათინ ნიბლოშვილი დამოუკიდებელ უფლებადაცვით საქმიანობას ეწეოდა. თინათინ ნიბლოშვილს ორგანიზაციაში ოფიციალურად აქვს შეჩერებული სადამფუძნებლო საბჭოს წევრის უფლებამოსილება. საქმეზე დავას ორგანიზაციის ბიოგრაფიისთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ასევე, არსებობს მნიშვნელოვანი პრაქტიკის და პრეცედენტის შექმნის სურვილი, რომელიც გამოხატვის თავისუფლების დავებთან მიმართებით, იქნება კარგი მაგალითი და შესაძლებლობა პრაქტიკოსი იურისტებისა და მკვლევარებისთვის.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ V.S ცესკო , სწავლების ცენტრი

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და სსიპ „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის“ მიმართ, ე.წ. „ჩაწყობილი გრანტების“ საქმეზე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა. ორგანიზაციის მხრიდან გასაჩივრების გადაწყვეტილებას გააჩნია საჯარო მმართველობის შემდგომი განხორციელებისთვის მნიშვნელოვანი დანიშნულება, რადგანაც სააპელაციო პალატა წაახალისა და ლეგიტიმაცია გაუკეთა შემთხვევას, როდესაც საჯარო უწყებებს ადმინისტრაციული წარმოების დროს, საქმესთან დაინტერესებული პირების დარბაზიდან გაძევება თავისუფლად შეეძლებათ და აღნიშნულით, საქმის განხილვის საჯაროობის პრინციპის დარღვევა არ ჩაითვლება კანონმდებლობის დარღვევად. „ახალგაზრდა ადვოკატების“ განცხადებით, მნიშვნელოვანია, როგორ განმარტავს საქართველოს უზენაესი სასამართლო გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სადავო გარემოებებს. მართალია, თბილისის სააპელაციო სასამართლოც, თბილისის საქალაქო სასამართლოსთან ერთად, ეთანხმება „ახალგაზრდა ადვოკატებს“, რომ საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ორგანიზაცის ადმინისტარციული საჩივრის განხილვის დროს, მნიშვნელოვნად დაარღვია სხდომის საჯაროობის პრინციპი, თუმცა პალატაც იზიარებს მიდგომას, რომ დარღვევას გავლენა არ მოუხდენია ორგანიზაციის კანონიერ ინტერესებზე და მიღებული აქტის მართლზომიერებაზე.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ თავიდანვე დააფიქსირეს პოზიცია, რომლის მიხედვითაც, მიღებული გადაწყვეტილება უკიდურესად მიკერძოებულია და თუკი საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში წამოჭრილი მსჯელობა კანონიერ ძალაში დარჩა, აღნიშნული მომავალში საფუძველს მისცემს არამხოლოდ ცესკო–ს, არამედ ნებისმიერ საჯარო უწყებას, ადმინისტარციული სხდომებიდან საქმის განხილვასთან დაკავშირებული დაინტერესებული პირები გააძევონ, რაც დემოკრატიისა და გამჭვირვალობის წინააღმდეგ მიმართული ქმედება იქნება.

ცნობისთვის: „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ 2015 წლის განმავლობაში, ორჯერ მიიღეს მონაწილეობა ცესკოს დაქვემდებარებული სწავლების ცენტრის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში. ორგანიზაციის საპროექტო წინადადება არც ერთ ეტაპზე არ დაფინანსდა. ორგანიზაცია საკითხის ანალიზმა მიიყვანა გადაწყვეტილებამდე, რომ სისტემა, რომელიც წინა ხელისუფლების მმართველობის დროს სწავლების ცენტრში ჩამოყალიბდა, სახელმწიფო ბიუჯეტის თანხის არაკეთილსინდისიერი ფორმით ახლობელ ორგანიზაციებზე გაცემის ფაქტები და სწავლების ცენტრის ხელმძღვანელი პირების ყოფილ ხელისუფლებასთან და ყოფილ სახელისუფლებო პარტია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ ბიოგრაფიულად დაკავშირებული კონტაქტები, რომელიც არც ახლა ქმნის სახელმწიფო საგრანტო პოლიტიკის გამჭვირვალობას საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, არ შეიძლება დაძლეულიყო ან შეცვლილიყო საზოგადოებრივი აზრის სწორი ფორმირების გარეშე, რეალობის მხილებისა და თანამდებობრივი ცვლილებების გარეშე.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ განაკუთრებული მოტივაციით აგრძელებს ბრძოლას ანტიდისკრიმინაციული სახელმწიფო საგრანტო პოლიტიკისა და იმავდროულად, გამჭვირვალე საჯარო ინსტიტუტების არსებობისათვის. ე.წ. „ჩაწყობილი გრანტების“ საქმე იქნება ცვლილებებისა და მომავალი საკადრო გადაწყვეტილებების მნიშვნელოვანი საფუძველი. ჩვენ, ამ ბრძოლაში, საზოგადოებასთან ერთად ვართ.

- ლისის ტბა წართმეულია! „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ ბიზნესმენ რამაზ ახვლედიანის საქმეზე ხმა საერთაშორისო ორგანიზაციებსაც მიაწვდინეს. 2016 წელს ბრძოლამ სამართლიანობის აღდგენისთვის შედეგი ვერ მოიტანა, მაგრამ მთელმა საქართველომ იცის კიდევ ერთი ქონებაჩამორთმეულის, რამაზ ახვლედიანის შესახებ. ორგანიზაციამ საქმეზე კვლევა გამოაქვეყნა, ხოლო მუშაობის პროცესში ყურადღება დაეთმო რამაზ ახვლედიანთან დაკავშირებული ბიზნეს-პარტნიორების ქცევას და სახელმწიფოს მოქმედებებს, რომელიც ტოვებს აშკარა შთაბეჭდილებას, რომ როგორც რამაზ ახვლედიანის ყოფილი ბიზნეს-პარტნიორები, ასევე სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლები, თავიდანვე გამოხატავდნენ დაახლოებას. საქმეში იკვეთება „ლისი ლეიქ დეველოპმენტისა“ და „ფროფერთი დეველოპმენტ ჰოლდინგის“ პარტიონრების მხრიდან შესაძლო არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება. მამუკა ხაზარაძე გახლდათ რამაზ ახვლედიანის პარტნიორი და დაგეგმილი ჰქონდათ ერთად გაეუმჯობესებინათ ლისის ტბისა და მიმდებარე ტერიტორიის მდგომარეობა. ქონების ჩამორთმევის საკითხი მტკივნეული აღმოჩნდა მხოლოდ რამაზ ახვლედიანისათვის.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ კვლევები მსოფლიოს წამყვანმა 18 ინსტიტუციამ და პოლიტიკურმა თანამდებობის პირმა მიიღო

„ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სისტემური დარღვევის საქმეებზე მომზადებული სამი ცნობილი კვლევა მსოფლიოს წამყვან 18 ინსტიტუციას და პოლიტიკური თანამდებობის პირს უკვე მიეწოდა, მათ შორის ორგანიზაციის კვლევები გაიგზავნა გაეროს გენერალურმა მდივან პან გი მუნის, აშშ პრეზიდენტ ბარაკ ობამას, აშშ სახელმწიფო მდივან ჯონ ქერის, აშშ სენატორ ჯონ მაკკეინის, აშშ პრეზიდენტობის კანდიდატ ჰილარი კლინტონის, მსოფლიო ბანკის პრეზიდენტ ჯიმ იონგ კიმის, ევროპარლამენტის პრეზიდენტ მარტინ შულცეს, ევროკავშირის საბჭოს გენერალური მდივან ჯეფი მიკელსენის, ევროკომისიის პრეზიდენტ ჟან-კლოდ იუნკერის, ევოსასამართლოს პრეზიდენტ გუიდო რაიმონდის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორ კრისტიან ლაგარდის, ფონდ „ღია საზოგადოების“ პრეზიდენტ ჯორჯ სოროსის, „USAID“-ის, „Amnesty International”-ის, „Human Rights Watch“-ის, „UNDP“-ისა და „IBRD“ მიმართ. აღნიშნული ინსტიტუციებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირების მიმართ ორგანიზაციის კვლევების მიღების ფაქტი, 2016 წლის 17 ნოემბრის ოფიციალური წერილით, ორგანიზაციას უკვე დაუდასტურა „საქართველოს ფოსტამ“.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ მსოფლიოს წამყვან ინსტიტუცებსა და თანამდებობის პირებს სახელმწიფოს სახით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი სამინისტროსთან და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე 2007-2016 წლებში, გიორგი პაპუაშვილთან მოქალაქე როლანდ ბლადაძის სადავო ქონების, ბიზნესმენ რამაზ ახვლედიანის მიმართ ლისის ტბის წართმევისა და ს.ს. „ინტელექტბანკის“ გაკოტრების საქმეები მიეწოდათ.

წლის ტრადიცია

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ 2016 წლის საქმიანობის შემაჯამებელ ღონისძიებაზე წარმატებული სასამართლო ინსტანცია, საჯარო და კერძო სფეროს წარმომადგენლები და ჟურნალისტური კორპუსი სპეციალური ნომინაციებში დააჯილდოვეს. ორგანიზაციამ 2014 წლიდან საფუძველი ჩაუყარა ტრადიციას, როდესაც წლის საქმიანობის ღონისძიებაზე აღინიშნება პროფესიული წრისა და იმ ინსტიტუციების დამსახურებული როლი, რომლებმაც ორგანიზაციასთან თანამშრომლობის პროცესში ან საზოგადოებრივი მაღალი ნდობის პირობებში საკუთარი უფლებამოსილებები და ვალდებულებები კეთილსინდისიერად შეასრულეს. ორგანიზაციის აღმასრულებელი გუნდის გადაწყვეტილებითა და ორგანიზაციის მიერ დამკვიდრებული, უცვლელი ნომინაციებით, „ახალგაზრდა ადვოკატებისთვის“ 2016 წლის შეფასებისთვის, ნომინანტები და გამარჯვებულები შემდეგი უწყებები, ინსტიტუციები და საქმიანი სფეროს წარმომადგენლები გახდნენ:

1. „ღია სასამართლო ინსტანცია“ – **ბათუმის საქალაქო სასამართლო**;
2. „ყველაზე ღია საჯარო უწყება“ – **საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია**;
3. „ყველაზე კომუნიკაბელური უწყება“ – **სსიპ ქონების მართვის ეროვნული სააგენტო**;
4. „საუკეთესო თანამშრომლობისთვის და ინსტიტუციური დიალოგისთვის“- **საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი;**
5. „წლის საუკეთესო მომსახურებისათვის“ – **„საქართველოს რკინიგზა“;**
6. „ახალგაზრდული იდეების ქომაგი“ – **„ქალთა ფონდი საქართველოში“;**
7. „ღია საზოგადოების მხარდამჭერი“ – **ახალი ამბების სააგენტო „კვირა“ და „კვირას-მედიაკლუბი“**
8. „დაბალანსებული და სანდო ინფორმაციისთვის“ – **ტელეკომპანია „იბერია“, გადაცემა „ბიზნეს კოდი“;**
9. „საზოგადოების ხმა“ – **რადიო პალიტრა, გადაცემა: „360⁰“;**
10. „თავისუფალი სიტყვის დამცველი 2016“
    - **მაცაცო გახოკიძე,** ტელე/რადიო „ობიექტივი“;
    - **თამთა კაკაურიძე,** სააგენტო „გურიანიუსი“;
    - **ნათია კოპალიანი,** აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი;
    - **ჯაბა ხუბუა**, გაზეთი „ასავალ დასავალი“;
    - **მანანა ცუხიშვილი**, „მთავარი გაზეთი“;
    - **ნენე სტეფანიშვილი**, სააგენტო „რეპორტიორი“;
    - **გენო ოსიყმაშვილი**, ტელეკომპანია „GDS“;
    - **სალომე გოგოხია**, ტელეკომპანია „მაესტრო“.
11. „ორგანიზაციის მეგობარი“
    - **ლია მუხაშავრია**, ევროსასამართლოს ექსპერტი, უფლებადამცველი;
    - **ირაკლი ყანდაშვილი**, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთაშორისო მდივანი.

„ახალგაზრდა ადვოკატები“, საზოგადოებას აგრეთვე შეახსენებს 2015 და 2014 წლებში დასახელებულ და გამარჯვებულ უწყებებსა და პროფესიული წრეების წარმომადგენლებს.

2015 წელი

1. თბილისის საქალაქო სასამართლო - „ღია სასამართლო ინსტანცია“;
2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო - „ყველაზე ღია საჯარო უწყება“;
3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი - „ყველაზე კომუნიკაბელური უწყება“;
4. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო - „საუკეთესო თანამშრომლობისთვის და ინსტიტუციური დიალოგისთვის“;
5. „ეთნოსთა შორის თანამშრომლობისა და კონსულტაციების ანალიტიკური ცენტრი - ACICC“ - „ახალგაზრდული იდეების ქომაგი“;
6. სააგენტო „პირჭელი“ – „ღია საზოგადოების მხარდამჭერი“;
7. გაზეთი „ბანკები და ფინანსები“, მთავარი რედაქტორი ზურაბ კუკულაძე - „თავისუფალი სიტყვის დამცველი 2015“;
8. აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი, ჟურნალისტი ლელა გოგოლაძე - „თავისუფალი სიტყვის დამცველი - 2015“;
9. გაზეთი „ალია“, ჟურნალისტი დიანა ლიპარტელიანი - „თავისუფალი სიტყვის დამცველი - 2015“;
10. ჟურნალისტი მერაბ მეტრეველი - „თავისუფალი სიტყვის დამცველი - 2015“;
11. გაზეთი „კვირის ქრონიკა“, ჟურნალისტი ლევან ჯავახიშვილი - „თავისუფალი სიტყვის დამცველი - 2015“;
12. ჟურნალისტი დარინა დავითაძე - „თავისუფალი სიტყვის დამცველი - 2015“.;
13. ტელეკომპანია „მაესტრო“, გადაცემა „ბიზნეს-კონტაქტი“ – „დაბალანსებული და სანდო ინფორმაციისთვის“;
14. რადიო „იმედი“ – „საზოგადოების ხმა“
15. „ორგანიზაციის მეგობარი“ - ზაზა ხატიაშვილი, ლია ელიავა

2014 წელი

1. თბილისის საქალაქო სასამართლო - „საუკეთესო სასამართლო ინსტანცია ოპერატიული საჯარო ინფორმაციისთვის“
2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - „ყველაზე ღია საჯარო უწყება“.
3. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო - „ყველაზე კომუნიკაბელური სამინისტრო“.
4. დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი - „საუკეთესო თანამშრომლობისთვის და ინსტიტუციური დიალოგისთვის“.
5. შპს „საქართველოს ფოსტა“ – „წლის საუკეთესო მომსახურებისათვის“.
6. ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი - „ახალგაზრდული იდეების ქომაგი“.
7. პრეს-კლუბი „რეპორტიორი“ – „ღია საზოგადოების მხარდამჭერი“.
8. ახალი ამბების სააგენტო „კვირა“, ჟურნალისტი მარიამ ზედგინიძე - „თავისუფალი სიტყვის დამცველი 2014“
9. გაზეთი „ქრონიკა+“, ჟურნალისტი თამარ ბატიაშვილი - „თავისუფალი სიტყვის დამცველი - 2014“
10. გაზეთი „ქართული სიტყვა“, ჟურნალისტი ნათია გოგიტიძე - „თავისუფალი სიტყვის დამცველი - 2014“
11. ჟურნალისტი თამარ ლეფსვერიძე - „თავისუფალი სიტყვის დამცველი - 2014“
12. საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო პროგრამა „მოამბე“ – „დაბალანსებული და სანდო ინფორმაციისთვის“
13. საზოგადოებრივი რადიო 1 – „საზოგადოების ხმა“
14. რადიო პალიტრა, გადაცემა „შუადღის ამბები განო და კოტე“ - „საზოგადოების ხმა“
15. „ორგანიზაციის მეგობარი“ - სოფიო აზარიაშვილი (ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი 2013-2014 წლებში)

ადვოკატთა საგანმანათლებლო ცენტრი

BAR EDUCATIONAL CENTER

ადვოკატთა საგანმანათლებლო ცენტრი მადლობას უხდის ტრენერებს თანამშრომლობისათვის და მსმენელებს გამოცხადებული ნდობისათვის

ცენტრი 2017 წელს ბევრ საინტერესო სიახლეს შესთავაზებს დაინტერესებულ პირებს

საკონტაქტო მონაცემები:
ადვოკატთა საგანმანათლებლო ცენტრი
www.edubarristers.ge
https://www.facebook.com/edubarristers/
infoedubarristers@gmail.com

ერთდღიანი ტრენინგები საბანკო სამართალში, სააღსრულებო წარმოებათა სამართალში, სანოტარო სამართალსა და შრომის სამართალში.

ცენტრმა მიმდინარე წელს ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ მხარდაჭერით პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალში ჟურნალისტების უფასო ტრენინგი ჩაუტარა.

ჟურნალისტებს ცენტრი 2017 წელს კვლავაც შესთავაზებს რამდენიმე საინტერესო და თემატურ ტრენინგს.

მიმდინარე წლის ივნისის თვეში „ადვოკატთა საგანმანათლებლო ცენტრი“ ქ. ბათუმს ეწვია და მსმენელებს საბანკო და შრომის სამართალში ერთდღიანი ტრენინგი ჩაუტარა.

2016 წელს ცენტრმა მსმენელს შემდეგი სამი გრძელვადიანი კურსი ჩაუტარა - სასამართლოში საქმისწარმოების პრაქტიკული ასპექტები; იურიდიული ინგლისური და ხელშეკრულების შედგენის მეთოდიკა.

„ადვოკატთა საგანმანათლებლო ცენტრის“ პირველი სტაჟიორი - მარიამ გუგუტიშვილი.

„სასამართლოში საქმისწარმოების პრაქტიკული ასპექტები“-ს კურსის წარმატებით გავლის შემდეგ მარიამი სტაჟირებას ასრულებს საადვოკატო კომპანია „კაიკაციშვილი და ადვოკატებში“.